ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს! იყავით კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 203 (3687)

15 ოქტომბერი, სამშაბათი.

1968 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ოლიმპიადის ანთებული გული

მეხიკო, 12 ოქტომბერი. XIX ოლიმპიადა, რომელმაც მასშტაბით უველა თავის წინამორბედს გადააჭარბა, გაიხსნა. ჩვენს თვალწინ გიგანტურ ფიალაში — ოლიმპიადის ანთებულ გულში მოგიზგიზე ალის სინათლეს მთელი მსოფლიო ხედავს. საქმე მარტო ტექნიკის სასწაულებრივ ძალაში როდია, რომლის მეოხებითაც მეხიკოში დაწყებულ დღესასწაულს ათასობით კილომეტრით დაშორებული მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს. არა. საქმე ისა, რომ ოლიმპიადა მშვიდობის, სიკეთის, მეგობრობის ზეიმი გახლავთ. სპორტი მარტო წამები, მეტრები, კილოგრამები არ არის, სპორტი კონკრეტული გამოხატულებაა „ადამიანთა მიწის“ სოლიდარობისა. სწორედ ესაა უპირველესი აზრი და მიზანი ფიზიკური კულტურის დღეს დაწყებული ფესტივალისა, რომელშიც 109 ქვეყნის 8 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობს.

არის წამი, რომელსაც მხოლოდ უაუსტის ცნობილი სიტყვები მოუხდება: შეჩერდი — შენ მშვენიერი ხარ! მთელი მსოფლიო, რომელიც სავსებით რეალურ სასწაულებს ახდენს და რომელიც თითქმის გადაეჩვია გაოცებას, ახლა სულგანაბული ადევნებდა თვალს შავკვრემან ქალიშვილს, 20 წლის მექსიკელ ენრიკუეტა ბასილიოს, რომელიც ოლიმპიურ სტადიონზე ანთებული ჩირაღდნით შემოიჭრა და ქალთა შორის პირველმა დაამთავრა „ცეცხლოვანი ესტაფეტა“, დაანთო XIX თამაშების ცეცხლი.

ენრიკუეტა კარგი სპორტსმენია. იგი ქვეყნის ჩემპიონია 400 მეტრზე რბენაში და რეკორდსმენი თარჯმორბენილ ქალთა შორის. მაგრამ ასე ძნელ გზაზე მას არასოდეს ურბენია.

რა თქმა უნდა, მთავარი იყო არა მანძილი, არამედ ის პასუხისმგებლობა, რომელიც ამ მხიარულ, სიმპათიურ მექსიკელ ქალიშვილს დაეკისრა. ენრიკუეტას ძალიან უფრთხილდებოდნენ, იცავდნენ შემთხვევითი მღელვარებისგან... და თავმომაბეზრებელი ინტერვიუებისგან. მექსიკის გუნდის ხელმძღვანელებმა ისიც კი გამოაცხადეს, ენრიკუეტამ ფეხი იტკინა და ავად გახდაო. შემდეგ იგი სულ დაიკარგა. დიდი შრომა დაგვჭირდა ბასილიოსთან დასალაპარაკებლად. „უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ამ საპატიო მისიის შემსრულებლად მე ამირჩიეს. ვფიქრობ, აქ გამოხატულება ჰპოვა ქალის როლმა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც“.

შეიძლება ასეთმა მნიშვნელოვანმა ფაქტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ზოგიერთი ჯიუტი წევრი იძულებული გახადოს გააგრძელონ „ქალის ოლიმპიური ემანსიპაცია“.

თანამედროვეობის პირველ თამაშებში (1896 წ.) ქალები საერთოდ არ დაუშვეს ათენის მარმარილოს სტადიონზე. რა თქმა უნდა, ახლა სურათი შეიცვალა, მაგრამ ქალები მაინც მონაწილეთა უმცირესობას შეადგენენ და ოლიმპიური სოფლის ოცდაშვიდი სახლიდან მხოლოდ ორი უპირავთ. მისახალმებელია, რომ ტოკიოში ოლიმპიური საგზური მოიპოვა კიდევ ერთმა ქალთა სახეობამ — ფრენბურთმა, მაგრამ ეს უფლება დიდი ხანია ეკუთვნით კალათბურთელ ქალებსაც.

სულელურ ანაქრონიზმად გვეჩვენება ოლიმპიელი ქალების გამომწყვდევა ეკლიან მავთულხლართებში, რაც ბევრ გესლიან ხუმრობას იწვევს. სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების დროს, ეროვნულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სპორტსმენი ქალები და ვაჟები ერთ სახტუმროში ცხოვრობენ.

ენრიკუეტა ბასილიომ დააგვირგვინა გზა მრავალი ქვეყნის 7 ათასზე მეტი სპორტსმენისა, რომელთაც თვენახევრის წინ ძველი ოლიმპოს ზევსის ტაძრის ნანგრევებთან დაიწყეს „ცეცხლოვანი ესტაფეტა“. იდეა, რომ სიმბოლური ცეცხლი ელადის წმიდა ადგილებიდან თანამედროვე თამაშების სარბიელამდე მიეტანათ, 1936 წელს წარმოიშვა და მას შემდეგ ყოველი ოლიმპიადის ტრადიციად იქცა. მაშინ, 32 წლის წინათ, ჩირაღდანმა მთელი გზა — 3075 კილომეტრი ხმელეთზე გაიარა. ახლა ჩირაღდანს ხომალდით ოკეანეში მოგზაურობაც შეხვდა. და ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგან ასპარეზობის ორგანიზატორთა ჩანაფიქრის მიხედვით, მარშრუტი მთლიანად უნდა დამთხვეოდა კოლუმბის გზას.

ამერიკის აღმოჩენის დღესთანაა დაკავშირებული ოლიმპიური თამაშების თარიღიც — 12 ოქტომბერი. ზუსტად 476 წლის წინ დიდი გენუელის ექსპედიციის მონაწილე ერთ-ერთმა მეზღვაურმა ჰორიზონტზე უცხო მიწა დაინახა. ეს იყო კუნძული სან-სალვადორი, რომელიც ახალი სამყაროს არქიპელაგში შედიოდა. ისტორიისკენ ეს დაბრუნება კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, რომ ადამიანებს აერთიანებს არა მხოლოდ აწმყო, არამედ წარსულიც.

წლევანდელ ესტაფეტაში ახალი იყო ისიც, რომ ჩირაღდანი მოცურავეებმაც ატარეს.

ბოლო კილომეტრები განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო. გუშინ ესტაფეტამ ცოცხალი ევკალიპტების ხალიჩებით მოფენილ გზაზე იარა.

წმიდა ცეცხლის ბოლო ნავსაყუდელი მთავარი ოლიმპიური სტადიონისკენ მიმავალ გზაზე იყო, ოვალური ქვის დიდი ფიალა მთვარის უძველეს პირამიდაზე, მექსიკელთა მრავალსაუკუნოვანი კულტურის ერთ-ერთ უწმინდეს ძეგლზე. „ასაკით“ პირამიდა თითქმის ძველი ელადის ოლიმპიადების თანატოლია. ასობით მექსიკელმა ქალიშვილმა საუკუნეთა შორის კავშირის სიმბოლოდ პირამიდის ძირას შეასრულა ცეკვა, რომელიც თანამედროვე მექსიკელთა წინაპრების — ძველ ინდიელთა ტომების რიტუალურ ცეკვებს გვაგონებდა. შემდეგ კი რამდენიმე წუთის განმავლობაში მთვარის პირამიდა მოქმედ ვულკანს ჰგავდა: გარს შემოჯარული კვამლის ღრუბლიდან ცისკენ მიფრინავდა სადღესასწაულო ფეიერვერკის უთვალავი ფერადი შუშხუნა.

პირამიდებიდან ვბრუნდებოდით ავტობუსით, რომელშიც ბევრი პოლონელი უურნალისტი და სპორტსმენი აღმოჩნდა. ჩვენმა მეგობრებმა იმპროვიზებული გუნდი შეკრეს და აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ბევრი პოლონური სიმღერა გვცოდნია. მაგრამ პოლონელებმა უფრო მეტი ძველი რუსული და თანამედროვე საბჭოთა სიმღერა იცოდნენ და როცა მათ „მოსკოვური საღამოები“ წამოიწყეს, ვეღარც სხვებმა შეიკავეს თავი. მღეროდნენ მექსიკელები, კანადელები, ინგლისელები, მღეროდა მთელი ავტობუსი.

მართლაც, რაოდენ სასიამოვნოა თვალდათვალ ხილვა ასეთი ჭეშმარიტი მეგობრობისა, უთუოდ რომ ახლავს ხოლმე ოლიმპიურ თამაშებს.

ახლა თითქმის მოსაწყენი გახდა იმის გამეორება, რომ ოლიმპიური სოფელი უველაზე ჰარმონიული ადგილია დედამიწის ზურგზე. მაგრამ ეს მართლაც ასეა. არ შეიძლება აღტაცების სიტყვები არ უძღვნა მას, ვინც სპორტულ მოედნებზე გატაცებით იბრძვის, ფინიშის შემდეგ კი გულწრფელად, მეგობრულად ეხვევა მეტოქეს.

აქ მართლა უბრალო მეგობრობა როდი მყარდება. ოლიმპიელთა 12 წყვილმა უკვე გადაწყვიტა თამაშების პერიოდში დაქორწინება და ქორწილის ოლიმპიურ სოფელში გადახდა.

გუშინ „სოფელში“ რიგით 150-ე დაბადების დღე იზეიმეს. ქალთა „სამფლობელოში“ სავან გ ე ბ ო კლუბიც კი შეიქმნა, რომელსაც სახელად „დაბადების დღე“ დაარქვეს. უველი ზეიმის მიზეზს სერენადებს უმღერიან სახალხო მომღერლები.

— დიახ, ოლიმპიურ ცეცხლს ჭეშმარიტი მეგობრობისა და ამხანაგობის სულისკვეთება მოაქვს. დღეს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მთელი მსოფლიოს ხალხებსა და სახელმწიფოთა მეთაურებს მიმართა მოწოდებით, XIX ოლიმპიური თამაშების პერიოდში ოლიმპიურ ენაზე ვილაპარაკოთო.

მაგრამ, მოდით, ისევ ოლიმპიური ჩირაღდნის დასკვნით მოგზაურობას დავუბრუნდეთ. მაშ ასე, მეხიკოს სტადიონზე საზეიმო ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი დაიწყო. ლოჟაში გამოჩნდნენ მექსიკის პრეზიდენტი გუსტავო დიას ორდასი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ევერი ბრენდეჯი და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი პედრო რამირეს ვასკესი.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

MEXICO 68

მეხიკო, 13 ოქტომბერი. ცურვის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა გადაწყვიტა 1971 წელს გაართოს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი. ასპარეზობა ოლიმპიური პროგრამით მოეწყობა, მონაწილე ქვეყნებს ყოველ სახეობაში 2-2 სპორტსმენის გამოყვანის უფლება ექნებათ. ჩემპიონატის გამართვა ნავარაუდევია ჟენევაში აგვისტოს მეორე ნახევრისთვის.

მექიკო, 13 ოქტომბერი. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ქალთა კომიტეტმა ფედერაციას შესთავაზა „სპორტის დედოფლის“ შეჯიბრების პროგრამაში მომაგლისთვის შეიტანოს: 100 მეტრზე თარჯრბენი (80 მეტრის ნაცვლად) და ესტაფეტა 4×200 მეტრზე.

მეხიკო, 13 ოქტომბერი. თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო კავშირის კონგრესმა, რომელიც მეხიკოში გაიმართა, კავშირის პრეზიდენტად ისევ შვედი ს. ტოფელტი აირჩია და შეიმუშავა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატების განრიგი. 1969 წლის პირველობა (მოზრდილებისა და იუნიორებისათვის) ბუდაპეშტში გაიმართება. 1970 წელს ვარენდორფში (გფრ) იასპარეზებენ მოზრდილები, ხოლო პარიზში — იუნიორები. 1971 წელს ფილადელფიაში გამოელენ მოზრდილები, ბრატისლავაში — იუნიორები. 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაში იასპარეზებენ მხოლოდ მოზრდილები, იუნიორების ტურნირი ავსტრიის ერთ-ერთ ქალაქში მოეწყობა. კონგრესზე გადაწყდა: ცურვაში ყოველი წამი ამიერიდან შეფასდეს 8 ჭულით (ადრინდელი 6 ჭულის ნაცვლად).

XIX ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნა მეხიკოში. **მარცხენა სურათზე** თქვენ ხედავთ საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა კოლონას მონაწილეთა პარადზე. **მარჯვნივ** — 400 მეტრზე რბენაში მექსიკის ჩემპიონი ენრიკუეტა ბასილიო ანთებს ოლიმპიურ ცეცხლს.

ტელეფოტო საკლისისა.





უარი სიყალბეს!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს ბიურომ მიიღო დადგენილება, რომლის მიზანია ფიზკულტურულ ორგანიზაციებში აღრიცხვისა და ანგარიშგების უკეთ წარმართვა. ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სპორტკავშირისა და სპორტულ საზოგადოებათა საბჭოები გულგრილად ეკიდებიან კონტროლის ფუნქციებს, შედეგების შეჯამების დროს ხშირად შეუმოწმებლად კმაყოფილდებიან მათ ხელთ არსებული ცნობებითა და სხვა საანგარიშო მონაცემებით, ყურადღებას არ აქცევენ საზოგადოებრიობის სიგნალებსა და პრესის გამოსვლებს, რომლებიც ცალკეული მუშაკების თვალთმაქცობასა და ყალბისმქნელობას ამხილებენ, არ ცდილობენ მიაღწიონ ეფექტურ ზომებს ამ სამარცხვინო ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების წინააღმდეგ.

ცენტრალური საბჭოს ბიუროს დადგენილებაში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული. კერძოდ, მითითებულია, რომ ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის დაგეგმვა უნდა გახორციელდეს თვითვალდებულებათა საფუძველზე, რეალური პირობებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. პრინციპული მომენტია წინადადება დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების ახალი, სრულყოფილი სისტემის დამუშავების შესახებ. აუცილებელია დოკუმენტაციის გამარტივება. წინადადების მომზადება დაევალათ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების სამმართველოს, ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს პროფკავშირთა ფიზკულტურულ ორგანოებთან და სპორტკავშირის რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად და უნდა დამთავრდეს 1 დეკემბრისთვის.

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა შეამოწმეს აღრიცხვა და ანგარიშგება უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიის, ყირგიზეთისა და სომხეთის 705 რაიონულ, საოლქო და რესპუბლიკურ ფიზკულტურულ ორგანიზაციაში. მიღებული მონაცემების ღრმად გაანალიზებით სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დიდი დახმარება გაუწია სპორტულ კავშირს.

ვფიქრობთ, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა ეს დიდი მუშაობა უსაფუძვლოდ როდი ჩაატარეს. ბოლო წლებში პრესაში, კერძოდ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ ხშირი იყო მამხილებელი სიგნალები ამ სფეროში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, იმ გარემოებაზე, რომ ხშირად ფიზკულტურული მუშაკები, რომელთაც გავლენა აქვთ აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში, მეტისმეტად იოლად ახდენენ მანიპულაციებს ასობითა და ათასობით მითიური ფიზკულტურელებით, სპორტსმენებით, მსაჯებით, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებით. განა გასაკვირია, რომ ამგვარი ანგარიშგების გარეგნული ბრწყინვალება და წესრიგი საზოგადოების ნდობას არ იწვევს?

შუნდირის ღირსების დაცვისკენ მისწრაფებამ პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, გაბერა მუშაობის მთავარი, ძირითადი მაჩვენებელი — ფიზკულტურელთა რიცხვი. ყაზახეთში შემოწმებულ 55 კოლექტივში ფიზკულტურელთა რიცხვი გაზრდილია 10 ათასით, აზერბაიჯანის 22 კოლექტივში კი, არც მეტი, არც ნაკლები, თითქმის სამმაგად. როვნესკის ოლქის № 2217 ავტოკოლონაში აღრიცხვაზეა 200 ფიზკულტურელი, სინამდვილეში კი 61 ყოლიათ. ასეთი დარღვევები აღმოჩნდა სხვა რესპუბლიკების ფიზკულტურულ ორგანიზაციებშიც.

ფიზკულტურული კოლექტივების ანგარიშებში გადაჭარბებულია ნიშნოსანთა, აგრეთვე, სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვი. მაგალითად, მინსკის ავტომატური ხაზების ქარხანაში ფეხბურთის სექციის წევრთა რიცხვი თითქმის 14-ჯერ გადაჭარბებითაა აღნიშნული, მძლეოსნობის სექციის წევრებისა — 6-ჯერ, ფრენბურთელებისა — 5-ჯერ. ქ. სტეპანაკერტის პირველ საშუალო სკოლაში საუკეთესო ფიზკულტურელთა შორის ითვლება 70 მოსწავლე, რომლებიც მხოლოდ ერთხელ გამოსულან სტარტზე, ყარაგანდის საკონდიტრო ფაბრიკაში კი ტურიზმში აქტიურად მომეცადინეთა რიცხვში შეუყვანიათ 500 მუშა, რომლებმაც დასვენების დღე ქალაქგარეთ გაატარეს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურელთა რიგებში ითვლება თითქმის ყველა მოსწავლე და სტუდენტი. მინსკის ოლქის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს „კრასნოე ზნამიასა“ და „შრომით რეზერვებს“ რომ დავუჯეროთ, სკოლებში სპორტსმენთა რაოდენობა მოსწავლეთა საერთო რიცხვზე მეტიც კია, ფიზკულტურის გაკვეთილებიდან გათავისუფლებულთა ჩათვლით.

ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში მრავალგზის იყო მითითებული, რომ ხშირად ერთ მოსწავლეს ფიზკულტურელად ითვლიან სასწავლებლებიცა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებიც (ან სპორტული საზოგადოებებიც). ანალოგიური ფაქტები თითქმის ყველგან გამოვლინდა. როგორ ხდება ეს? უნდა ვიფიქროთ, რომ ერთერთი მიზეზია გაზრდილი გეგმები, ეგრეთ წოდებული საკონტროლო ციფრები სპორტკავშირის ადგილობრივი საბჭოებისა, რომლებიც სასწავლებლების ნამდვილ შესაძლებლობებს ანგარიშს არ უწევენ და მოითხოვენ, რომ ამ სასწავლებლებში ფიზკულტურელთა რაოდენობა მოსწავლეთა საერთო რიცხვის 70 პროცენტს შეადგენდეს. ასეთმა დაგეგმვამ „ზევიდან“, რა თქმა უნდა, ნეგატიური ასახვა ჰპოვა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა, რომ ყოველ მომენტში უშრომლად და უკონტროლოდ წარმოადგინონ მეტისმეტად სასიამოვნო ანგარიშები.

სპორტულ საზოგადოებათა მთელი რიგი რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოები უფრო შორს წავიდნენ— საანგარიშო მონაცემების პირდაპირი დამახინჯების გზას დაადგნენ. თუ მაგალითად, ზოგიერთი საბჭოს (მაგალითად, „ვაირატის“ საბჭოს) მუშაკები ამგვარ მოქმედებას იმით ამართლებდნენ, თითქოს ანგარიშებს ფიზკულტურული კოლექტივებიდან დროულად ვერ ღებულობდნენ და ამიტომ იძულებული იყვნენ თვითონ გაეკეთებინათ საქმე, „ურაჟაის“ გროდნოს საოლქო საბჭოში მიღებულ მონაცემებს პირდაპირ დაურიდებლად აყალბებდნენ. რა თქმა უნდა, ყველა მაჩვენებელს ზრდიდნენ. სამწუხაროდ, ამ სიყალბესა და თვალთმაქცობას ხელს უწყობდა სპორტკავშირის გროდნოს საოლქო საბჭო, რომელიც თავის მხრივ ასევე ურევდა მონაცემებს. საბჭოს 1967 წლის ანგარიშში მოზარდთა თანრიგზე წლის განმავლობაში მომზადებულ სპორტსმენთა რიცხვი კალმის ერთი მოსმით გაიზარდა 200 კაცით, მშთ-ს ნიშნოსანთა რიცხვი — 58 კაცით, კომპლექსურ მოედნებს მიემატა 6, ფრენბურთის, კალათბურთის და ჩოგბურთის მოედნებს — 40 ბაზა, მძლეოსნობის სექციაში მომეცადინეთ უსაფუძვლოდ მიემატა 759 კაცი, მაგიდის ჩოგბურთელთა რაზმს — 983, ტყვიის მსროლელთა და მოჭადრაკეთა რიცხვს — 1000 კაცი. ესე იგი, არ იკმარეს, რომ საოლქო საბჭოში მისული ცნობები ისედაც ნაყალბევი იყო, საჭიროდ მიიჩნიეს ამ შედეგების კიდევ უფრო „გაუმჯობესება“. ამისთვის, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა აგონ, და სერიოზულადაც. ეს საჭიროა მით უმეტეს, რომ არსებობს საამისო სახელმწიფოებრივი კანონი. ამ საქმის გასორციელებას მას მივანდობთ, ვისაც ევალება, ჩვენ კი დავსვამთ ერთ თავისთავად წამოჭრილ კითხვას:

— ვის სჭირდება ეს?

მხოლოდ ცუდ, მხოლოდ უვარგის მუშაკებს, მათ, ვისთვისაც ძალზე ხელსაყრელია სერიოზული, დაძაბული, ინიციატივიანი და ყოველდღიური შრომის შეცვლა გამარჯვების მაუწყებელი პატაკების, ცნობების და ანგარიშების გარეგნული წესრიგით. თავად განსაჯეთ:

„სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე ამას წინათ შუალედურ ფინიშს მიადგა ორი საზოგადოებრივი კამპანია: „თავისუფალი საათები სავსე სტადიონებზე“ და „ვეტერანებო, სტარტზე!“. თუ ზემოხსენებულ მოხსენებებსა და ანგარიშებს გადავხედავთ, გამოდის, რომ რედაქცია და მისი საზოგადოებრივი აქტივი სულ ტყუილად შეწუხებულან. ამ მოხსენების მიხედვით სტადიონები დაძაბულად მუშაობენ დილიდან საღამომდე, ჩინებულად ემსახურებიან ათასობით ადამიანს, ვეტერანები კი, თავის მხრივ, განუწყვეტლივ მონაწილეობენ მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში. და ეს იმ დროს, როცა სამუშაო ყველგან თავსაყრელია.

ფიზკულტურული ფანფარონების წყალობით იოლად ჩნდება ცნობები იმის შესახებაც, რომ ამა და ამ ქალაქში ყოველი მესამე მცხოვრები ფიზკულტურელია, ყოველი მეხუთე — აქტიური სპორტსმენი. მაგრამ ხშირად ეს ნაყალბევია, მიჩატია. დაგეთანხმებით, რომ ყალბისმქნელებისთვის ეს გაბერილი ციფრები სავსებით რეალური საფარია დაუდევრობისა.

სიტყვამ მოიტანა და, არსებულ ვითარებას ბუნებრივად განაპირობებს ფიზკულტურული კოლექტივებისა და ორგანიზაციების დაუდევარი დამოკიდებულება თვით საანგარიშო დოკუმენტაციის მიმართ. სააღრიცხვო ბარათები მოუწესრიგებელია, ალაბედზე ივსება, ბევრ კოლექტივში კი საერთოდ არ არსებობს. ეს, რა თქმა უნდა, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის „სტატისტიკური“ თვითნებობისთვის.

აქამდე ჩვენ ვიშველიებდით მხოლოდ მასალებს შემოწმებისას, რომელიც, როგორც ცნობილია, არჩევითი იყო. ყურადღებას იქცევს უსიამოვნო ფაქტების სიჭარბე ყაზახეთის რესპუბლიკაში. შემთხვევითია ეს? არა. გვაგონდება, რომ ყაზახეთის IV სპარტაკიადის დახურვაზე რესპუბლიკის სპორტულმა ხელმძღვანელობამ სრულიად მშვიდად გამოაცხადა, რომ სპარტაკიადის სტარტი აიღო 7 მილიონმა ფიზკულტურელმა. ეს მაშინ, როცა ყაზახეთის მთელი მოსახლეობა, ძუძუს ბალღებისა და ღრმად მოხუცების ჩათვლით თორმეტნახევარი მილიონია.

გვახსოვს, უკრაინის საზოგადოება „ავანგარდმა“ დიდის ამბით წამოიწყო სპარტაკიადა „შრომისა და ღეგრძელობისთვის“. რა განზრახვა შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო კეთილი? მაგრამ შემოწმების შემდეგ სხვა რამ გამოირკვა. სპარტაკიადის იდეა ბევრმა კოლექტივმა შეაფასა როგორც მოხერხებული გზა ფიზკულტურელთა რიგებში (და ანგარიშებში) მათ ჩასარიცხად, ვინც სინამდვილეში ფიზკულტურელი არაა. და ახლა, თუ საზოგადოების მოხსენებებს დავუჯერებთ, ამ სპარტაკიადაში 1.800.000 მარტო უფროსი ასაკის სპორტსმენი მონაწილეობდა. სინამდვილეში კი ასე სულაც არ არის.

ყველაზე უსიამოვნო ისაა, რომ ამგვარად ფაქტიურად ერთმანეთს უთანაბრდება თვალთმაქცებისა და ნამდვილი ენთუზიასტების შრომა. ენთუზიასტები კი, რა თქმა უნდა, უმეტესობას შეადგენენ: სწორედ მათი მონდომების წყალობით კეთდება ბევრი კარგი, სასახელო საქმე ჩვენს სპორტში.

ქალაქ სალავათში ფიზკულტურა და სპორტი მართლაც შეიქცა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. მაგრამ ამ ქალაქში სულაც არ მიაჩნიათ, რომ საქმე უკვე გაკეთდა. დამახასიათებელია ის, რით დაიწყეს. ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხ. ფატკულინი შარშან „იზვესტიაში“ წერდა: „ჩვენი ჩანაფიქრი რომ რეალური ყოფილიყო... მოგვიხდა თვითეული ფიზკულტურის კოლექტივის შემოწმება. უნდა ითქვას, რომ ანგარიშებში მოცემულმა ადრინდელმა ციფრებმა იკლო, ზოგჯერ სამჯერაც კი. ეს იმ მიზეზით მოხდა, რომ, ვთქვათ, სამ სპორტულ სექციაში ერთდროულად მომეცადინე (ამას ვინ დაიჯერებს!) კაცი სხვადასხვა საბუთში სამჯერ იყო შეტანილი (ეს კი სწორია). საინტერესო იქნება ამ პოზიციებიდან შევაფასოთ ამჟამინდელი „მილიონებიც“, ვიღაცის წყალობით იოლად რომ მოგზაურობენ საკავშირო სპორტულ ცნობებში“.

დიახ, სალავათში ყოველი ფიზკულტურელი ფიზკულტურელია, ყოველი სპორტსმენი — სპორტსმენი. მაგრამ ზოგიერთი ქალაქი მეტისმეტად აღრე უწოდებს თავს „მეორე სალავათს“, „მეორე სევეროდონეცკს“. და თუ სურთ მართლაც იყვნენ ასეთი ქალაქები, მათ უნდა დაიწყონ სწორედ იმით, რითაც სალავათელებმა დაიწყეს.

ერთი შეხედვით თითქოს დიდი არაფერია — რა მოხდა, მიიწერეს ათასი სპორტსმენი, ვის რა დაუშავდება ამით? დაუშავდება, ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობას. თვალთმაქცობა ხელს უშლის პარტიის მიერ დასახული მთავარი ამოცანის შესრულებას — მივაღწიოთ, რომ სპორტი დამკვიდრდეს ყოველი საბჭოთა ოჯახის ცხოვრებაში, იქცეს კომუნიზმის ყოველი მშენებლის კეთილ მოკავშირედ ჯანმრთელობის განმტკიცებაში, დღეგრძელობაში, შრომითი აქტივობის ამაღლებაში.

კიდევ ერთი არანაკლებმნიშვნელოვანი მომენტი: ჩვენ უკვე მივუთითებდით, რომ პრესამ არაერთხელ ამხილა და მძაფრი კრიტიკით გაიღაშქრა გაბერილი ციფრების წინააღმდეგ. მაგრამ უნდა ვაღიაროთ მეორეც: მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, რომ პრესა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას, ზოგიერთი სპორტული ჟურნალისტი (მათ შორის, „სოვეტსკი სპორტისაც“) ზოგჯერ უკრიტიკოდ ხვდებოდა მყვირალა მონაცემებს, თავიანთ წერილებში რომ მოჰყავდათ ცალკეულ ფიზკულტურულ მუშაკებს. და ეს, სამწუხაროდ, ხელს უწყობდა სიყალბის გალაღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საჭირო მადისციპლინირებელი უნარი და სახელმწიფოებრივი სიმტკიცე ვერც სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების სამმართველომ გამოიჩინა.

ჩვენ გვესმის, რომ ვინმემ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ამ სიყალბის სიჭარბით გაკვირვებულმა შეიძლება იკითხოს:

— რა გამოდის? გამოდის, რომ ჩვენში მასობრივი ფიზკულტურა არ არსებობს?

როგორ არა, არსებობს. წლიდან წლამდე იზრდება მისი რეალური ციფრები და რეალური ხარისხი. გაიარეთ ქუჩებში: რამდენი სპორტსმენი ჭაბუკი დადის, რამდენი სპორტსმენი ქალიშვილი! ეს მათთვის აშენდა და შენდება ათასობით სტადიონი და აუზი, სპორტდარბაზი და საფეხბურთო სადგური — რეალური, არაგამოგონილი,— შენდება მრავალად, ყველა კუთხეში.

შარშან ჩვენს ქვეყანას ეხმაურა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ავერი ბრუნდეჯი. იგი ანგარიშებს კი არა, ცხოვრებას ეცნობოდა. საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენციაზე მან აღტაცებით შეხვდა: „მსოფლიოში არ არის ქვეყანა, რომელსაც ასეთ მოკლე ხანში ეხმაროდეს დიდი სპორტული მიღწევები მოეპოვებინოს“.

რა თქმა უნდა, ამ წარმატებების მოპოვება მხოლოდ ყველაზე მასობრივ საფუძველზე შეიძლებოდა. და მით უფრო უაზროა, — არა, უაზრო როდია, ვინაიდან არც ისე უანგარო გახლავთ! — მით უფრო ზიზღის მომგვრელი და მავნეა ფანფარონობა გაბერილი ციფრებისა, ჩატარებული მუშაობის ჭეშმარიტ მასშტაბებს რომ ბილწავენ, ჩქმალავენ სინამდვილეში გადალახულ სიძნელეებს და საბოლოოდ ბურუსით მოსავენ რეალურ ამოცანებსა და სირთულეს, რომელთა გადალახვაც მომავალშია საჭირო.

გადაჭრით ვეუთხრათ უარი სიყალბეს! ყალბისმქნელებს, თვალთმაქცებს სათანადო უნდა მიეზღოთ. უმკაცრესი პერსონალური პასუხისმგებლობა ანგარიშებისა და მოხსენებების სიზუსტისთვის სპორტული ორგანიზაციების მუშაობის ელემენტარულ ნორმად უნდა იქცეს.

ნ. სოვეტიშვილი,
საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.

მეტი ყურადღება ალრიცხვა - ანგარიშგებას!

საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი სისტემატურად ამოწმებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მდგომარეობას, აღრიცხვა-ანგარიშგებას. მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, ამ ხარვეზში ჯერ კიდევ არსებობს ნაკლოვანებები, შემჩნეულია სიყალბის ფაქტები.

ამ ხარვეზის მთავარი მიზეზი ისაა, რომ სპორტკავშირებისა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები არ იბრძვიან თვალისმბეჭდავი წინააღმდეგ.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურის კოლექტივების უმეტესობაში საქმეს უძღვებიან საზოგადოებრივი მუშაკები, რომლებსაც ჯერ კიდევ უნდა ვასწავლოთ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა.

ზოგი თვლის, რომ სიყალბის მიზეზი „ზევიდან“ დაშვებულ გეგმებში უნდა ვეძიოთ. ეს შეჯიდულება მცდარია, ვინაიდან ასეთი დაგეგმვა (გარდა სპორტის ოსტატების, ოსტატობის კანდიდატებისა და პირველთანრიგოსანი სპორტსმენების მომზადება) არ არსებობს. ის, ვინც ასეთ დაგეგმვას გვთავაზობს, თვითნებურად არღვევს სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ მიღებულ წესს, რომლის თანახმადაც ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობის დაგეგმვა ხორციელდება მხოლოდ მათ მიერ მოფიქრებული და მიღებული, საკუთარი პირობებიდან გამომდინარე თვითვალდებულებების საფუძველზე. თვითვალდებულებების დაგეგმვისას კი ყოველგვარი დაძალება დაუშვებელია. გეგმები ყალბი ციფრების მიწერით კი არ უნდა სრულდებოდეს, არამედ არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებით.

ავიღოთ, მაგალითად, ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაცია საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ამ ადგილებში საქმიანობის სწორად წარმართვა იძლევა საშუალებას გავზარდოთ ფიზკულტურელთა და თანრიგოსანთა რიგები.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მუშაობს 5800-ზე მეტი მასწავლებელი, მწვრთნელი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი. სპორტკავშირებმა და ნებაყოფლობითმა სპორტსაზოგადოებებმა უნდა გამოიყენონ ისინი დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა სპორტული ღონისძიების გამართვისა და ამის დახმარებით გეგმების შესრულების ნაცვლად, თვალთმაქცობით გადიან ფონს.

სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭო მომავალშიც დიდ ყურადღებას მიაქცევს ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-აღრიცხვიანობის სწორად წარმართვას, იბრძოლებს იმისათვის, რომ ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტკავშირებისა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებში ბოლო მოეღოს სიყალბის შემთხვევებს.

ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს თავისი სახელგანთქმული სპორტსმენების მიღწევებით, აღრიცხვა-ანგარიშგება კი ზუსტად უნდა აღნუსხავდეს ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ სინამდვილეში მოპოვებულ წარმატებებს. ჩვენ არ გვჭირდება ციფრების გაბერვა, არარსებულის გამოგონება.

ეს უნდა ესმოდეს ყველას და, პირველ ყოვლისა, საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის მესვეურებს.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **თოფაობაში** — ვ. ზუკაიშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი“), ი. გეგელაშვილს (თბილისის „სპარტაკი“); **ხმობაში** — რ. ოდიშელიძეს (თბილისის „სპარტაკი“); **მძლეოსნობაში** — ვ. ჭუთათელაძეს (თბილისის „ლოკომოტივი“). ნ. მგელაძეს (თბილისის „სპარტაკი“); **ტყვიის სროლაში** — ი. ციციშვილს (თბილისის „განთიადი“); **ფარიკაობაში** — ნ. ლოსაბერიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **ძალოსნობაში** — ი. ქაჟაურიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **აკრობატიკაში** — ვ. ბასიუკს, კ. იაბრიშნიკოვს (ორივე — სოხუმის განათლების სამინისტრო); **კალათბურთში** — თ. ნარიმანიძეს, რ. მამალაძეს, ზ. ქარაბაკს (სამივე — თბილისის „დინამო“).

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ჭიდაობაში** — ბ. აბრამიშვილს (თბილისის „განთიადი“); **ტყვიის სროლაში** — ლ. ალიხანოვას (სოხუმის „დინამო“).

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით ფეხბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯის საპატიო წოდებით დაჯილდოვდა ო. ჯორჯანია (თბილისი).



ოლიმპიადის ანთებული გული

(დასასრული)

მსოფლიოს საუკეთესო ათლეტთა საზეიმო მარში ტრადიციით ოლიმპიადების სამშობლოს — საბერძნეთის დელეგაციამ დაიწყო. შემადგენლობით კოლონები სხვადასხვაგვარი იყო. ზოგი, მაგალითად, აშშ-ს, გდრ-ის, გფრ-ის, იაპონიისა, 300-400 მონაწილეს ითვლიდა. ფიჯისა და მალტის კუნძულები კი თითო სპორტსმენით გამოვიდნენ.

დიდი ბრიტანეთის დელეგაციის შემადგენლობაში ვეტერანები მოდიან. ესაა 62 წლის მსროლელი ჩარლზ სექსტონი და 66 წლის „ამაზონელი" ლორნა ჯონსტაუნი. ეს პატივცემული ქალბატონი პირველად ამ საუკუნის დამდეგს შეჯდა უნაგირზე, თვითმფრინავით კი სულ ორჯერ უმგზავრია (მეორედ სწორედ მეხიკოში ჩამოფრინდა).

და აი, ოლიმპიურ სტადიონზე საბჭოთა გუნდი გამოჩნდა. ზუსტი ნაბიჯი, მომღიმარი, მზემოკიდებული სახეები. ქალებს ალისფერი უკაკეტები აცვიათ, ვაჟებს დიპლომატიური პიჯაკები. საბჭოთა გუნდში უველა მოკავშირე რესპუბლიკის წარგზავნილი 400-ზე მეტი სპორტსმენია— ინუინრები, ექიმები, პედაგოგები, სტუდენტები, ტექნიკოსები, სამხედრო მოსამსახურეები, მუშები. საბჭოების ქვეყნის წითელი დროშა მოაქვს დედამიწის ზურგზე უდიდესი კაცს ლენინდ უაბოტინსკის, მას მოჰყვებიან ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი გალინა პრუზუმენშჩიკოვა და მსოფლიო ჩემპიონი ნატალია კუჩინსკაია. საბჭოთა სპორტსმენები გამოვლენ უველა სახეობაში, გარდა ფეხბურთისა და ბალახის ჰოკეისა.

ოვაციების ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია ტრიბუნებზე მექსიკის გუნდის გამოჩენამ. წესის თანახმად, მასპინძლებმა დახურეს საზეიმო მსვლელობა. ოლიმპიადის მონაწილეთა შორის მხოლოდ მექსიკის სპორტსმენები გამოვლენ პროგრამით გათვალისწინებულ უველა სახეობაში.

პრეზიდენტმა ორდასმა XIX ოლიმპიური თამაშები გახსნილად გამოაცხადა.

ცისკენ გაფრინდა ათი ათასი მტრედი, აფრიალდნენ ფერად-ფერადი საჰაერო ბურთები. ორგანიზატორთა სიტყვით, ოლიმპიადის გახსნის დროს ჰაერში 40 ათას ბურთს აუშვებდნენ, მაგრამ ახლა ეს რიცხვი ბევრად გაიზარდა. მექსიკის ბევრი მცხოვრები სტადიონზე ფერადი ბურთებით ხელდამშვენებული მოვიდა. სხვათა შორის, ბოლო დღეებში მექსიკის დედაქალაქში 240 ათასი საჰაერო ბურთი გაჩუიდა.

ოლიმპიადის მონაწილეთა სახელით ტრადიციული ოლიმპიური ფიცი წარმოთქვა 30 წლის მექსიკელმა სპორტსმენმა პაბლო გარიტამ.

სულ გახსნის ცერემონიალს ორ საათზე მეტი დასჭირდა. დასახრულ უზარმაზარ ტაბლოზე ოლიმპიადის უველა ოფიციალურ ენაზე დაიწერა: „მეგობრობას ვთავაზობთ მსოფლიოს უველა ხალხს!"

ოლიმპიადის პირველი დღე ლამაზი და საზეიმო იყო. ხვალ დაიწყება დიდი ბრძოლა. ოლიმპიადის ლაურეატებს 1067 მედალი ელით. ის კი, ვისაც ჯილდო არ ხვდება, თავს ინუგეშებს თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის დამფუძნებლის პიერ დე კუბერტენის სიტყვებით: „მთავარია არა გამარჯვება, არამედ ოლიმპიადაში მონაწილეობა".

სპორტი ერთვათლისთვის

ბრძოლები დაიწყო

ოლიმპიადის მეორე დღეს მეხიკოს სპორტულ სარბიელზე გამოვიდნენ მძლეოსნები, ძალოსნები, აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატები, კალათბურთელები, მოკრივენი, ხუთჭიდელები, ფრენბურთელი ქალები. საღამოსთვის XIX ოლიმპიადამ პირველი ჩემპიონებიც დაასახელა.

მეხიკოში გამარჯვებულის პატივსაცემად პირველი ჰიმნი კენიხა შესრულდა. 10.000 მეტრზე რბენაში მთიანეთისთვის სარეკორდო შედეგით (29.27,4) უველას აჯობა 22 წლის ჯარისკაცმა ნ. ტემუმ. II და III ადგილებიც აფრიკელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს: ეთიოპიელი მ. ვოლდე გამარჯვებულს 1 წამით ჩამორჩა, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს მ. გამუდის წილად ხვდა ბრინჯაო. ნ. სვირიდოვი (სსრ კავშირი) V ადგილზე გავიდა.

23 წლის თეირანელმა კლერკმა მ. ნასირიმ (112,5+105+150) მჩატე წონის ძალოსანთა ბრძოლაში ტოკიოს ოლიმპიადის მეორე პრიზიორი უნგრელი ი. ფიოლდი დაამარცხა... საკუთარი ნაკლები წონის წყალობით. საქმე ისაა, რომ სამჭიდში ორივემ 367,5 კილოგრამი დააგროვა (ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარეს და გაიმეორეს მსოფლიოს რეკორდი), მაგრამ ნასირი ფიოლდიზე 300 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და ოქროს მედალი მას მიეკუთვნა. ნასირიმ ოლიმპიადისა და მსოფლიოს ახალი რეკორდები დაამყარა აკვრაში — 150 კგ. მსოფლიოს რეკორდსმენი გ. ჩეტინი (სსრ კავშირი) IV ადგილს დასჯერდა — 352,5 კგ.

კალათბურთში მსოფლიოს ჩემპიონების,- სსრ კავშირის სპორტსმენების პირველი მეტოქე პოლონეთის გუნდი იყო. პოლონელებმა შეხვედრა აზარტულად დაიწყეს და ინიციატივასაც დაეუფლნენ, მაგრამ შემდეგ უპირატესობა სსრ კავშირის სპორტსმენებმა მოიპოვეს და პირველი ნახევარიც მოიგეს — 47:30. მსოფლიო ჩემპიონი შეხვედრის შემდეგ მთელი ძალით ათამაშდა და მეტოქე დიდი ანგარიშით (91:50) დაამარცხა. გამარჯვებულ გუნდს უველაზე მეტი ქულები შესძინეს მ. პაულაუსკასმა— 16, ანდრეევმა — 10, ლიპსომ და საკანდელიძემ — 9-9.

კალათბურთის სპეციალისტთა უურადღება მიიპყრო ამერიკის გუნდის ორმა მოთამაშემ, ნაკრების ახალბედამ 22 წლის ჯ. უაიტმა და 2-მეტრიანმა გიგანტმა ბ. ჰოსკეტმა. სწორედ მათი ცდით იყო, რომ აშშ-ს გუნდმა იოლად დაამარცხა ესპანეთის ნაკრები — 81:46.

როგორც წინაოლიმპიურ თამაშებში, სსრ კავშირის ხუთჭიდელებმა ახლაც გამარჯვებით დაიწყეს — საგრძნობლად დაწინაურდნენ ცხენოსნურ კროსში. მთავარი მეტოქეები — უნგრელები ლიდერთან 195 ქულას აგებენ და V ადგილზე არიან.

ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სძლია ჩეხოსლოვაკიას — 3:1.

მეხიკო, 14 ოქტომბერი.



მეხიკო, 12 ოქტომბერი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტად ქვლავ აირჩიეს ე. ბრენდეჯი. იგი კიდევ ოთხ წელიწადს უხელმძღვანელებს სოკ-ს. პირველ ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია კ. ანდრიანოვი (სსრ კავშირი), მეორე ვიცე-პრეზიდენტია ხ. კლარკი (მექსიკა), მესამე — ლ. კილანინი (ირლანდია).

კენჭისყრის შედეგად დადგინდა კალათბურთელთა ოლიმპიური ტურნირის წინასწარი თამაშების ქვეჯგუფთა მონაწილენი. „ა" ქვეჯგუფში მოხვდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების, პუერტო-რიკოს, იტალიის, პანამის, იუგოსლავიის, ფილიპინის, სენეგალისა და ესპანეთის გუნდები. „ბ" ქვეჯგუფი შეადგინეს სსრ კავშირის, ბრაზილიის, მექსიკის, კუბის, ბულგარეთის, სამხრეთ კორეის, მაროკოსა და პოლონეთის ნაკრებმა კოლექტივებმა.

ჩვენი ოლიმპიელები

საუკეთესო შესაძლებლობის მჭონე

მსოფლიო რეკორდების ცხრილში უველაზე ძველია ამერიკელი ქვემსუბუქი წონის ძალოსნის ი. ბერგერის შედეგი აკვარაში — 152,5 კგ. მრავალი ქვეყნის ათლეტებმა სცადეს ამ წონის გადალახვა, მაგრამ საწადელს ვერც ერთმა ვერ მიაღწია. ბერგერმა ეს შედეგი ტოკიოს ოლიმპიადაში აჩვენა 1964 წლის ოქტომბერში.

ზუსტად ოთხი წლის შემდეგ მეხიკოში შეიკრიბნენ მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები. კვლავ გაგრძელდება იერიში ბერგერის მსოფლიო და ოლიმპიურ რეკორდზე. მოიცრიცქეთა შორის იქნება ერთი სპორტსმენი, რომელიც უველაზე მეტად მიუახლოვდა ამერიკელის რეკორდს. ეს ათლეტი დიმიტრი შანიძე გახლავთ.

... ჭაბუკობაში დიმიტრის ძალოსნობა როდი იზიდავდა, უფრო მძრაველი თამაშები და ჭიდაობა ხიბლავდა. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა შანიძის ცხოვრების გზა, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ძალოსანი დ. ბასილაძე რომ არ შეხვედროდა. მათი გაცნობა ქუთაისში მოხდა, სადაც ბასილაძე მწვრთნელად მუშაობდა. ბასილაძის დაჟინებული მოთხოვნით დიმიტრიმ სიმძიმეების აწევაში დაიწყო ვარჯიში.

ძალოსნობის ანბანს დიმიტრი ქუთაისში ვაგებნო. შემდეგ მან თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, სადაც მის დაოსტატებას ბევრი მოჰკიდა შესანიშნავმა ქართველმა ძალოსანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ჟღენტმა. დიდ სარბიელზე შანიძის გამოსვლა შეუმჩნეველი დარჩა, რადგან ქართველ ათლეტს თავიდან რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუპოვებია. მაგრამ მწვრთნელი და აღსაზრდელი იმედს არ კარგავდნენ.

... 1965 წლის საკავშირო პირველობა ძალოსნობაში ერევანში მოეწყო. ამ დროისთვის შანიძე უკვე საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენია ქვემსუბუქ წონაში. ათლეტები ორ ცვლად — დილასა და საღამოს ასპარეზობდნენ. საღამოობით წონის ფავორიტები გამოდიოდნენ, დილით კი ის ძალოსნები, რომელთაც გამარჯვების შედარებით ნაკლები პრეტენზია ჰქონდათ. დიმიტრი სწორედ დილის ცვლაში მოხვდა. მაგრამ ქართველი ძალოსნის შედეგი იმდენად მრავლისმომცველი იყო, რომ ერთ-ერთმა ადგილობრივმა გულშემატკივარმა წინასწარ გამარჯვებაც კი მიულოცა და გადაკოცნა. როცა გულშემატკივარს აუხსნეს, უძლიერესები საღამოს გამოდიან და მილოცვა ნაადრევიაო, მან დაჟინებით თქვა, ამ შედეგს ვერც საღამოს დასძლევენო. მდლად ასე არ იყო, მაგრამ საღამოს შეჯიბრებაში შანიძის შედეგი მართლაც ერთგვარი ორიენტირი გამოდგა. მაშინ დიმიტრიმ V ადგილი დაიკავა და ჩამორჩა მხოლოდ ისეთ სახელგანთქმულ ათლეტებს, როგორიც იყვნენ ვ. მინაევი, ა. პაპაზოვი, ვ. რუდენკო.

... დ. შანიძის ნამდვილი ტრიუმფი იყო 1967 წლის აპრილში თბილისში გამართული საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობის თასზე". არც ერთ ქართველ ძალოსანს არ შეხვედრიან ისეთი ოვაციით სპორტის სასახლეში, როგორიც იმ საღამოს დიმიტრის ხვდა წილად. ეს იყო საოცრად ლამაზი სანახაობა, როცა თვალნათლივ ჩანდა, რა იოლად აიტაცა ადამიანმა თითქოსდა დაუძლეველი სიმძიმე. შანიძის ძირითადი მეტოქეები იყვნენ საბჭოთა ძალოსნები ლ. ანდრიანოვი, ვ. კუზინი, ვ. ქარიმოვი და შესანიშნავი უნგრელი ათლეტი, მსოფლიო რეკორდსმენი ი. ფიოლდი.

ანდრიანოვმა 122,5 კგ-ით დაამთავრა ასპარეზობა აჭიმვაში. ფიოლდი მსოფლიო რეკორდსმენია ამ მოძრაობაში. მან 120 კგ აჭიმა და პირდაპირ 130 კგ-ზე გადავიდა (ეს 1,5 კგ-ით ნაკლებია მისსავე მსოფლიო რეკორდზე). უნგრელი ათლეტი ორჯერ ამაოდ შეეცადა ამ წონის დაძლევას. ნერვულმა დაძაბულობამ უკვე შემდეგ მოძრაობაში იჩინა თავი. დიმიტრიმ 110 კგ აჭიმა და მოკრძალებულ V ადგილს დასჯერდა.

ატაცებაში ფიოლდიმ 105 კგ-ით დაიწყო. ვერ აიღო. ორჯერ მოითხოვა 110 კგ და ორჯერვე მხოლოდ გულს შეასკდა. ასე გამოაკლდა პირველი ადგილის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი ტურნირს.

ცხადი შეიქნა, რომ გამარჯვება რომელიმე საბჭოთა ათლეტს უნდა რგებოდა. მაგრამ ვის?

შანიძემ თანმიმდევრულად აიტაცა 102,5, 107,5 და 112,5 კგ და ორი

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დ. შანიძეს მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

მოძრაობის ჯამში 222,5 კგ დააგროვა. ქართველმა ათლეტმა სცადა საკავშირო რეკორდის დამყარებაც (115,5 კგ), თუმცა ამ ცდას ნაყოფი არ გამოუღია. მთავარი მეტოქე — ანდრიანოვი 5 კგ-ით ჩამორჩა შანიძეს, მაგრამ ორი მოძრაობის ჯამში 230 კგ დააგროვა და I ადგილზე იყო.

დაიწყო ბოლო მოძრაობა — აკვრა. შანიძე სსრ კავშირის რეკორდსმენია ამ მოძრაობაში. ის რომ ფიცარნაგზე გამოვიდა, შეჯიბრების უცნოელ მონაწილეებს — რუმინელ ა. ტომას, ბულგარელ კ. იანკოვს, ირანელ ჰ. მოუზისა და მონღოლ დაშზევეგს უკვე დამთავრებული ჰქონდათ ასპარეზობა. ქართველმა ათლეტმა იოლად დასძლია 140 კგ. ამ შედეგის გამეორება მხოლოდ კუზინმა და ანდრიანოვმა შეძლეს. შემდეგ 142,5 კგ აჰკრა ქარიმოვმა.

შანიძე ფიცარნაგზე არ გამოდის. და აი, დიქტორმა 150 კგ გამოაცხადა. დარბაზი ძალოსანს ტაშით შეეგება. ხუმრობა როდია ერთბაშად 7,5 კილოგრამის მომატება, მით უმეტეს, რომ ეს წონა 2,5 კგ-ით მეტია საკავშირო რეკორდზე. შანიძემ კვლავ აუღელვებლად დასძლია სარეკორდო წონა. ათლეტს წონიან. ყველაფერი რიგზეა. დამყარდა საკავშირო რეკორდი!

მაგრამ ტურნირი არ დამთავრებულა. შანიძე მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად ემზადება. ამერიკელი ი. ბერგერის ზემოხსენებული რეკორდი ორჯერ ეკიდა ბეწვზე, მაგრამ მაინც ხელუხლებელი დარჩა. სამჭიდში შანიძემ ერთბაშად 10 კგ-ით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც ახლა უკვე 2,5 კგ-ით ჩამორჩებოდა საკავშირო რეკორდს — 375 კგ-ს.

ამ ტურნირს ესწრებოდა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე, ინგლისელი უ. ჰოლანდი, რომელმაც შანიძეს ფანტასტიკური შესაძლებლობების მჭონე ათლეტი უწოდა.

... წელიწადს, ივნისში, ლენინგრადში ევროპის ჩემპიონატი მოეწყო. დიმიტრი ევროპელ ძალოსანთა ამ ფორუმზე სსრ კავშირის რეკორდსმენად ჩავიდა: მისი მაჩვენებელი სამჭიდში 382,5 კგ-ს უდრიდა და ზუსტად ევროპული რეკორდის გამეორება გახლდათ. ეს შეჯიბრება ქართველი ძალოსნისთვის ერთგვარი ძალის მოსინჯვა იყო მეხიკოს ოლიმპიური თამაშების წინ. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ტურნირი, შანიძისთვის ერთ გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი აჭიმვაში: ერთი წონის დაძლევას დიმიტრიმ სამივე ცდა მოანდომა, რამაც მის ძირითად მეტოქეს — პოლონელ მ. ნოვაკს მნიშვნელოვანი ფორა მისცა. აქ თავისი „მისია" შეასრულა პოლონელმა არბიტრმაც, რომელმაც „წაუძინა" და დროზე არ მისცა აჭიმვის დაწყების ნიშანი. მაგრამ დიმიტრის გულშემატკივრებს, ლენინგრადში მრავლად რომ იყვნენ, იმედი როდი დაუკარგავთ, იმ დროისთვის აკვარაში შანიძის საკავშირო და ევროპული რეკორდი 1,5 კგ-ით ჩამორჩებოდა მსოფლიო რეკორდს. მაგრამ სასწაული არ მოხდა: პოლონური სპორტის ვეტერანმა 147,5 კგ აჰკრა, ქართველმა ათლეტმა კი მეორე ცდაზე 145 კგ აჩვენა. შემდეგ მან 153 კგ მოითხოვა. ორჯერ (კვლავ ორჯერ!) აიტაცა მკერდზე, ორივეჯერ აჰკრა კიდეც, მაგრამ სარეკორდო წონის ფიქსირება ვერ შეძლო. შანიძე ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

... მეხიკოში გამგზავრებამდე დიმიტრიმ პელსინკში საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. ეს ის ქალაქი გახლავთ, სადაც 1952 წელს საბჭოთა სპორტსმენები პირველად გამოვიდნენ XV ოლიმპიურ თამაშებში და სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა რ. ჩიმიშკიანმა სწორედ ქვემსუბუქ წონაში მოიხვეჭა ჩემპიონის ოქროს მედალი. როგორც ჩანს, სასიამოვნო მოგონებებმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა დიმიტრიზე და მან შეჯიბრება ახალი საკავშირო რეკორდით დაამთავრა — 392,5 კგ. პვეც ვიტყვით, რომ ეს მაჩვენებელი 5 კგ-ით ჩამორჩება ტოკიოს თამაშებში ნაჩვენებ მსოფლიო და ოლიმპიურ რეკორდებს, რომელთა ავტორიც იაპონელი იოშინობუ მიაკეა. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ მიაკემ შემდეგში ამ შედეგის არაუთ გამეორება ვეღარ შეძლო, არამედ ვეღარც კი მიუახლოვდა მას. იაპონელი ამ რამდენიმე ხნის წინათ დაშავდა და საეჭვოა, რომ მეხიკოსთვის აღიდგინოს სპორტული ფორმა. მაგრამ ამ წონაში გამოჩნდა მეორე საშიში მეტოქე — იოშინობუს უმცროსი ძმა იოსიუკი. თვით რეკორდსმენი ფიქრობს, რომ მის ძმას მეხიკოში შეუძლია მოსწინას მსოფლიო რეკორდი საბჭოში.

მეხიკოში გუშინ გვიან დამით დამთავრდა ქვემძიმე წონის ათლეტთა ასპარეზობა. როგორიც არ უნდა იყოს მისი შედეგი, ჩვენ გვწამს: დიმიტრი შანიძეს არ უთქვამს თავისი ბოლო სიტყვა.

ა. ცეხანელი.

ხუროთმოძ: დ. შანიძე.

ფიდე-ს კონგრესი მუშაობს

10 ოქტომბერს ლუგანოში (შვეიცარია) მუშაობა დაიწყო ფიდე-ს 39-ე კონგრესმა, რომელმაც მრავალი საკითხი უნდა განიხილოს.

პირველად კონგრესმა მოისმინა ვაჟთა მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემის შეცვლის საკითხი. საჭადრაკო საზოგადოებრიობა და თვით დიდოსტატები უკმაყოფილონი არიან 1965 წელს შემოღებული პრეტენდენტთა მატჩებით. ამ შეჯიბრებაში მონაწილეებს არა აქვთ შესაძლებლობა (მატჩების მოკლე დისტანციის გამო) მთლიანად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და ძალა.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ შეიტანა წინადადება: დაუბრუნდეთ პრეტენდენტთა ტურნირებს. კონგრესმა ეს წინადადება მიიღო: ამიერიდან ჩატარდება პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირები, სადაც 12 მონაწილე ორ-ორჯერ შეხვდება ერთმანეთს. ამ შეჯიბრების 10 მონაწილეს დაესახელებს საზონათშორისო ტურნირი, ხოლო 2 პერსონალურად იქნება მიწვეული (ერთი — მსოფლიო პირველობაზე მატჩში დამარცხებული, მეორე — პრეტენდენტთა ტურნირში მეორე ადგილზე გასული). ახალი სისტემით, პრეტენდენტთა 1971 წლის მატჩ-ტურნირში პერსონალურად მიწვეული არიან ვ. კორჩნოი და პეტროსიან-სპასკის მატჩში დამარცხებული.

კონგრესმა დააკმაყოფილა აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციის თხოვნა: ამ ქვეყნის ოლიმპიური გუნდის წევრებს რ. ფიშერსა და ს. რეშევსკის მიეცათ უფლება XVIII ოლიმპიადაში მონაწილეობისას დაიცვან რელიგიური რიტუალი, რისთვისაც საჭირო იქნება ზოგიერთი მატჩის დადგენილი დროის შეცვლა.

დამტკიცდა მ. ტალ-ბ. ლარსენის მატჩის რეგლამენტი. გამარჯვებული პირდაპირ დაიშვება 1970 წლის საზონთშორისო ტურნირში.

კონგრესი მუშაობას განაგრძობს.

ჩაიკოვსკაიამ ლიდერობას შეუტია

აშხაბადი, 14 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის VII ტურში თავი გამოიჩინა თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ა. ჩაიკოვსკაიამ. სსრ კავშირის ჩემპიონ მ. რანიკუსთან შეხვედრაში მან ენერგიულად წარმართა ბრძოლა და გაიმარჯვა. მეორე დღეს, VIII ტურში, ალამ შეუპოვრად შეუტია პირველობის ერთ-ერთ მთავარ ლიდერს რ. ესტერკინას (ლენინგრადი) და პირველი დამარცხება აგება მას.

VII ტურში ნ. კონოპლიოვამ (მოსკოვი) მოუგო ლ. რუდენკოს (ლენინგრადი), კ. ზვორიკინამ (მინსკი) — ნ. რუბინჩიკს (ლენინგრადი), ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) — ტ. ზატულოვსკაიას (ბაქო) და მ. შულმა (ლვოვი) — მ. სანაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — ლ. სტარჩენკო (ალმა-ათა).

დანარჩენი პარტიები გადაიდო. მწვავე ბრძოლას შემდეგ რთულ პოზიციაში გადაიდო თ. გოლოვეი (მინსკი) — ნ ალექსანდრიას შეხვედრა.

VIII ტურში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ალექსანდრიას შეხვედრამ პირველობის ერთ-პიროვნულ ლიდერთან რ. ბილუნოვასთან (მოსკოვის ოლქი). ინიციატივას თავიდან ქართველი მოჭადრაკე დაეუფლა, მაგრამ რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი მოთმინებით უვნებელყოფდა მუქარებს და შეძლო პარტიის გადადება. შენუვეტილ პოზიციაში ალექსანდრიას მაინც შესამჩნევი უპირატესობა აქვს.

კარგად ითამაშა ამ დღეს სანაძემ, რომელმაც კონოპლიოვას მოუგო. რანიკუმ რთული თამაშით დაამხნია გოლოვეი და გაიმარჯვა. შული დამარცხდა თ. ბელოვასთან (მსკოვი). ყაიმით დამთავრდა ბორისენკო — ზვორიკინასა და რუსინკევიჩ — მედიანიკოვას შეხვედრები. სხვა პარტიები გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ რ. ბილუნოვა — 5,5 (2), ვ. ბორისენკო — 5,5, ა. ჩაიკოვსკაია — 5 (1), ნ. კონოპლიოვა, ჰ. რანიკუ — 5-5, რ. ესტერკინა — 4,5 (2) და ნ. ალექსანდრია — 4 (1).

გუშინ...

ოლიმპიადაზე გრძელდებოდა შეჯიბრებები მძლეოსნობასა და ძალოსნობაში. წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა 100 და 400 მეტრზე რბენაში. მომდევნო ეტაპში გამოსვლის უფლება მოიპოვეს ლ. სამოტიოსოვამ, ლ. გოლომაზოვამ, ლ. ჟარკოვამ, ი. ვერბელემ. წარუმატებლად გამოვიდა ბაღროს მტყორცნელი გ. გუდაშვილი. მას ნახევარ მეტრამდე დააკლდა საკლასიფიკაციო ნორმის შესრულებას.

ძალოსანთა ორთაბრძოლები გვიან ღამით დამთავრდა.

თამაშების ტაბლო

მძლეოსნობა. 10.000 მეტრზე რბენა. 1. მ. ტემუ (კენია) — 29.27,4, 2. მ. ვოლდე (ეთიოპია) — 29.27,5. 3. მ. გამუდი (ტუნისი) — 29.34,2, 4. ხ. მარტინესი (მექსიკა) — 29.35,0, 5. ნ. სვირიდოვი (სსრ კავშირი) — 29.43,2, 6. რ. კლარკი (ავსტრალია) — 29.44,8... 19. ლ. მიკიტენკო (სსრ კავშირი) — 30.43,0... 26. ვ. ალანოვი (სსრ კავშირი) — 31.01,0.

ძალოსნობა. მჭატე წონა. 1. მ. ნასირი (ირანი) — 367,5 (112,5 + 105,0 + 150), 2. ი. ფიოლდი (უნგრეთი) 167,5 (122,5 + 105 + 140), 3. ხ. ტრეგიცკი (პოლონეთი) — 357,5 (115 + 107,5 + 135), 4. გ. ჩეტინი (სსრ კავშირი) — 352,5 (110 + 102,5 + 140), 5. ხ. ისინოსეკი (იაპონია) — 350, 6. ფ. ბაეცი (პუერტო-რიკო) — 345.

სსრ კავშირის პირველობა



ამხანაგური ფეხბურთი



ძალზე დიდმნიშვნელოვანი იყო 12 ოქტომბრის მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის. კიელელები გამარჯვების შემთხვევაში რეალურად ინაღდებდნენ ჩემპიონობას (ხედიზედ მესამედ!), ვინაიდან ჭულათა საიმედო რეზერვს იქმნიდნენ საამისოდ, სპარტაკელებს კი მატჩის თავიანთ სასარგებლოდ დამთავრების შემთხვევაში მხოლოდ 3 ქულა აშორებდათ ლიდერებს.

ეს საინტერესო მატჩი, რომლის ... ტაიმის ტრანსლაცია ხდებოდა ტელევიზიით, მოიგეს კიელებმა — 1:0. ერთადერთი გოლის ავტორი იყო სერგებრიანიკოვი.

მოსკოველმა არმიელებმა საკუთარ მინდორზე ანგარიშით 1:0 დაამარცხეს „არარატი“. აქ გოლი გაიტანა ფედოტოვმა.

ფრედ — 1:1 ითამაშეს ოდესის „ჩერნომორეცმა“ და მოსკოვის „ლოკომოტივმა“. ანგარიში გახსნა მოსკოველმა კოზმა. საპასუხო ბურთის ავტორია ცუნინი.

დაბოლოს, მატჩი, რომელიც დიდი ანგარიშით დამთავრდა — 3:0. ასე დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტმა“ კიბიბშვილის „ქროლია სოვეტოვი“. გოლები გაიტანეს სადირინმა, გონჩაროვმა და ბურჩალკინმა.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ე. სტრელცოვის („ტორპედო“, მოსკოვი) ანგარიშზეა 17 ბურთი. ბ. აბდურაიმოვისა („პახტაკორი“) — 14, ო. კოპაევისა (ასკ, როსტოვი) — 13, ვ. კოზლოვისა („დინამო“, მოსკოვი) — 12, გ. გაბაშვილისა („დინამო“, თბილისი) და გ. ჰუსაინოვისა („სპარტაკი“, მოსკოვი) — 11-11.

„ა“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 15 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	32	20	10	2	52—20	50
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	32	18	7	7	52—35	43
„ტორპედო“ (მოსკოვი)	31	16	10	5	49—23	42
ცსკა	32	16	9	7	41—28	41
„დინამო“ (მოსკოვი)	32	15	8	9	46—29	38
„დინამო“ (მინსკი)	30	14	9	7	35—25	37
„დინამო“ (თბილისი)	32	13	10	9	39—22	36
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	31	10	14	7	43—38	34
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	32	10	13	9	31—33	33
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	32	9	13	10	31—40	31
„ზარია“ (ლუგანსკი)	33	10	11	12	21—34	31
„შახტიორი“ (დონეცკი)	32	9	11	12	32—32	29
ასკ (როსტოვი)	32	9	10	13	37—41	28
„ნეფტჩი“ (ბაქო)	32	9	10	13	32—42	28
„კრ. სოვეტოვი“ (სუიბიშევი)	32	8	9	15	20—34	25
„ალგირეტი“ (ალმა-ათა)	32	8	8	16	21—35	24
„არარატი“ (ერევანი)	32	9	6	17	27—42	24
„ტორპედო“ (ქუთაისი)	33	7	9	17	25—40	23
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	32	7	8	17	31—53	22
„დინამო“ (ციროვაბადი)	32	5	9	18	19—38	19

„ბ“ ჯგუფი

მოგვყავს „ბ“ კლასის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა 11 ოქტომბრის ტურის მატჩების შედეგები (რსფსრ-ს III და IV ზონები).

III ზონა. „არაზი“ (ნახიჭევანი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვო) 0:0, „დამკინი“ (ზაქათალა) — „ენერგია“ (ვოლსკი) 0:2, „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) — „ტრუდი“ (ენგელსი) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ხიმიკი“ (ნევინომისკი) 1:3, „უროჟაი“ (ლაბინსკი) — „სპარტაკი“ (ბელგოროდი) 1:2, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „შრ. რეზერვები“ (კურსკი) 2:0, „ურალანი“ (ელისტა) — „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) 1:1.

IV ზონა. „მაღაროელი“ (ცქალთუბო) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) 1:0, „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:3, „არაქსი“ (ეჩმიაძინი) — „უროჟაი“ (კრიმსკი) 3:2, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „უროჟაი“ (დერბენტი) 2:0, „უროჟაი“ (გროზნო) — „კახეთი“ (თელავი) 2:1, „ირისთონი“ (მოზდოკი) — „ტრუდი“ (კასპისკი) 1:1. ზუგდიდის „ენგური“ სათამაშოდ არ ჩავიდა კროვაკანში, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა „ლორისთან“ შეხვედრაში.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 15 ოქტომბრისათვის

III ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ბელგოროდი)	38	22	10	6	66—21	54
„უროჟაი“ (მაიკოპი)	37	24	6	7	58—20	54
„ხიმიკი“ (ბალაკოვო)	38	19	14	5	44—17	52
„შრ. რეზერვები“ (კურსკი)	38	21	10	7	46—35	52
„დილა“ (გორი)	37	19	9	9	66—28	47
„მეტალურგი“ (რუსთავი)	38	18	9	11	44—28	45
„სპარტაკი“ (ორიოლი)	37	18	11	10	40—33	39
„ენერგია“ (ვოლსკი)	37	14	10	13	38—31	38
„ტორპედო“ (არმავირი)	37	13	12	12	35—32	38
„ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური)	38	13	12	13	29—40	38
„უროჟაი“ (სლავიანსკი)	38	14	9	15	51—36	37
„ტრუდი“ (ენგელსი)	35	14	9	12	47—32	37
„ხიმიკი“ (ნევინომისკი)	38	12	11	15	35—40	35
„უროჟაი“ (ლაბინსკი)	37	9	15	13	20—45	33
„დაშკინი“ (ზაქათალა)	37	10	11	16	27—50	31
„ალაზანი“ (გურჯაანი)	37	11	8	18	36—46	30
„კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია)	36	10	10	16	32—44	30
„უროჟაი“ (სვეტლოგრადი)	39	8	14	17	31—54	30
„უროჟაი“ (ლენინგრადსკაია)	37	8	12	17	25—46	28
„არაზი“ (ნახიჭევანი)	38	5	10	23	22—66	20
„ურალანი“ (ელისტა)	37	5	8	24	27—68	18

IV ზონა

„გურია“ (ლანჩხუთი)	38	22	6	10	68—37	50
„სევანი“ (ოქტემბერიანი)	38	20	8	10	55—29	48
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	37	18	11	8	51—25	47
„მერცხალი“ (მახარაძე)	39	20	7	12	40—39	47
„ლორი“ (ალავერდი)	37	17	12	8	37—38	46
„მაშუკი“ (პიატიგორსკი)	37	18	8	11	50—31	44
„არაქსი“ (ეჩმიაძინი)	37	19	5	13	43—35	43
„უროჟაი“ (კრიმსკი)	38	15	12	11	48—39	42
„შუქურა“ (ქობულეთი)	38	14	14	10	50—48	42
„უროჟაი“ (დერბენტი)	36	15	11	10	44—30	41
„ნარზანი“ (კისლოვოდსკი)	37	14	13	10	44—31	41
„ტრუდი“ (კასპისკი)	37	15	8	14	38—41	38
„დინამო“ (სოხუმი)	38	14	7	17	55—52	35
„ენგური“ (ზუგდიდი)	38	11	13	14	32—38	35
„კოლხეთი“ (ფოთი)	38	14	6	18	41—45	34
„მაღაროელი“ (ცქალთუბო)	37	12	9	16	37—41	33
„ირისთონი“ (მოზდოკი)	38	12	9	17	38—45	33
„უროჟაი“ (გროზნო)	38	7	10	21	36—57	24
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	37	6	12	19	27—51	24
„ლერნაგორცი“ (კაფანი)	37	8	5	24	23—67	21
„კახეთი“ (თელავი)	36	5	8	23	29—56	18

შვეიცარია — საბერძნეთი 1:0 გერ — ავსტრია 2:0

შეხვდა 2 შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში.

შვეიცარიის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა საბერძნეთი, ხოლო გერ-მ — ავსტრია — 2:0.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **15 ოქტომბერი. „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშება. ნახევარფინალური შეხვედრა.** საქართველო (საკრები) — ბელორუსია (ნაკრები). ახალგაზრდული შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

საქართველოს სპორტკავშირი, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან ძველი დინამოელის

ნიკოლოზ გრიგოლის ძე ხომოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 ოქტომბერს 19 საათზე. გამოსვენება 17 ოქტომბერს 17 საათზე ბინიდან. წერეთლის პროსპექტი № 55, I სადარბაზო.

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან ძველი ფეხბურთელის

ევგენი მელქისედეკის ძე ფრუიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 ოქტომბერს ქ. ივანოვოში.

თასი—თბილისელებს

თბილისის „სინათლის“ დიდი წარმატება

ჩვენი გაზეთის 10 ოქტომბრის ნომერში ვიუწყებოდით, რომ საქართველოს თასის მფლობელმა ფეხბურთში — თბილისის „სინათლემ“ (თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს გუნდი, სპორტსზოგადოება „სპარტაკი“) მოიპოვა ფიზკულტურული კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშების ფინალში თამაშის უფლება. განვლილ კვირას, 13 ოქტომბერს, ფინალური მატჩი შედგა მაიკოპის სტადიონზე. ერთმანეთს შეხვდნენ „სინათლე“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქინსკი).

მაიკოპიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა: თბილისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს გადამწყვეტი მატჩი, დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:0 და მოიპოვეს საპატიო პრიზი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04270